



Kingdom of the Netherlands



# სასამართლო მონიტორინგის ანგარიში 2021 წლის 5 ივლისის ძალადობრივი დარბევის საქმეებზე

2022

სასამართლო მონიტორინგის ანგარიში მოამზადა დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა (DRI) პროექტის „ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის პრევენცია საქართველოში“ ფარგლებში. პროექტი მხარდაჭერილია საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ. პუბლიკაციაში ასახული პოზიციები და შეხედულებები ეკუთვნის პროექტის გუნდს და არ უნდა მოხდეს მისი აღქმა დონორის ოფიციალურ მოსაზრებად.

# სარჩევი

1. შესავალი .....	3
2. მეთოდოლოგია .....	3
3. არსებული კონტექსტი.....	4
3.1. 2021 წლის 5-6 ივლისის ძალადობრივი დარბევის ქრონოლოგია .....	4
3.2. ქართული ოცნების პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ ძალადობრივი ქმედებების წახალისება .....	7
3.3. მასობრივი ძალადობის ხელშეუხებელი ორგანიზატორები .....	8
3.4. ექსპერტიზა ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების/ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებაზე .....	9
4. სასამართლო სხდომების მონიტორინგი .....	10
4.1. სასამართლო სხდომებზე დასწრების უფლება .....	10
4.2. 2021 წლის 5 ივლისის საქმეები .....	12
4.2.1. ქსენოფობიური განწყობები სასამართლო სხდომებზე .....	13
4.2.2. მოწმეების და დაზარალებულების დაკითხვა .....	14
4.2.3. წესრიგი სასამართლო სხდომათა დარბაზში .....	15
შეჯამება .....	15
დანართი N1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეკომენდაციების ქრონოლოგია .....	16

# 1. შესავალი

ანგარიშში მიმოხილულია 2021 წლის 5-6 ივლისს ძალადობრივი ჯგუფების მიერ ორგანიზებული დარბევების პოლიტიკური და სამართლებრივი კონტექსტი და, მეორე მხრივ, 5 ივლისის ორგანიზებულ ძალადობაში მონაწილე პირების წინააღმდეგ აღძრული საქმეების სასამართლო განხილვებზე დაკვირვების შედეგები.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი იკვლევს „სიძულვილის ჯგუფების“ იდეოლოგიურ ნარატივებს სხვადასხვა სოციოლოგიური მიმართულებით. ორგანიზაციას 2021 წლის 5-6 ივლისის მოვლენებამდეც არაერთი განცხადება, დოკუმენტი და ანგარიში აქვს გამოქვეყნებული. შესაბამისად, სხვადასხვა პოლიტიკურ და სამოქალაქო პლატფორმებზე „სიძულვილის ჯგუფების“ როლი და მათი მიზნები ორგანიზაციის კვლევის ობიექტად რჩება.

წინამდებარე ანგარიშში მოცემულია ის ძირითადი ტენდენციები, რაც 2021 წლის 5-6 ივლისს „სიძულვილის ჯგუფების“ მიერ ორგანიზებულ ძალადობასთან დაკავშირებით მიმდინარე ოთხ სისხლის სამართლის საქმეზე დაკვირვების პროცესში გამოვლინდა, ესენია: საჯაროობისა და მოქალაქეთა დასწრების პრობლემა, სასამართლო სხდომაზე დაცვის მხრიდან გამოვლენილი „სიძულვილის ენის“ გამოყენების პრაქტიკა და დაზარალებულების, ექსპერტებისა და მოწმეების დაკითხვის პროცესში დამაშინებელი გარემოს არსებობა. ამ საქმეების სასამართლო განხილვა გრძელდება, შესაბამისად, მონიტორინგის წინამდებარე დოკუმენტი შემაჯამებელ ანგარიშს არ წარმოადგენს.

# 2. მეთოდოლოგია

სასამართლო მონიტორინგის ანგარიში დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა უშუალოდ სხდომებზე დასწრებისა და მათზე დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაციის, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის და სამაგიდო კვლევის საფუძველზე მოამზადა. ანგარიშის მონიტორინგის არეალი მოიცავს თბილისის საქალაქო სასამართლოში სისხლის სამართლის კოლეგიაში მიმდინარე ოთხ საქმეს<sup>1</sup>:

1. ტელეკომპანიების „ფორმულას“, „ტვ პირველის“ და „მთავარის“ ჟურნალისტებსა და ოპერატორებზე ძალადობის ეპიზოდები, სადაც ბრალდებულები არიან ზ.მ., უ.დ., გ.კ., გ.ნ., ი.ქ., რ.კ. და თ.ხ.
2. ლექსო ლაშქარავასა და მირანდა ბალათურიაზე ძალადობის, ასევე, „სირცხვილიას“ ოფისთან მომხდარი ეპიზოდები. ბრალდებულები - დ.კ., თ.დ., ა.ნ., ო.გ., გ.გ., ც.ჩ.
3. „ტაბულას“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჟურნალისტებზე ძალადობის და პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი ეპიზოდები, სადაც ბრალდებულები არიან: გ.წ., გ.მ., თ.ბ., გ.გ. და ზ.ჭ.
4. 9 აპრილის პარკში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი ეპიზოდები. ბრალდებულები - თ.გ., ბ.მ., მ.დ., ნ.გ., ი.ბ. და ბ.მ.

---

<sup>1</sup> გასათვალისწინებელია, რომ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტს არა აქვს საქმის მასალებთან წვდომა და, შესაბამისად, ეს ეპიზოდების არასრული ჩამონათვალია.

სასამართლო სხდომების მონიტორინგი 3 ნოემბრიდან 29 დეკემბრის ჩათვლით 5-6 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებულ ზემოაღნიშნულ ოთხ საქმეზე მიმდინარეობდა. მონიტორინგის ფარგლებში დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მონიტორი 15 სასამართლო სხდომას დაესწრო. ამ ეტაპზე მონიტორინგის მიზანი იყო სხდომების მიმდინარეობისთვის დამახასიათებელი მთავარი პრობლემების გამოკვეთა, რის საფუძველზეც დაიგეგმებოდა მონიტორინგის შემდგომი ეტაპები. მონიტორინგის დროს დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის წარმომადგენელი ხელმძღვანელობდა სპეციალური კითხვარით, რომელიც მოიცავდა:

- ზოგად ინფორმაციას: დაკვირვების ხანგრძლივობის, პროცესის მიმდინარეობის, სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების აღწერას;
- სამართლიანი სასამართლოს უფლებისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვის შეფასებას;
- ბრალდებულისთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობას;
- სხდომების მიმდინარეობის (წინასასამართლო, არსებითი განხილვა, საპროცესო შეთანხმების სხდომების) შესახებ ზოგად მიმოხილვას;
- მოსამართლის, ბრალდებისა და დაცვის მხარის რეაგირებისა და პოზიციების შეფასებას და სხვ.

ამ ეტაპზე 15 სხდომიდან, რომელსაც დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის წარმომადგენელი დაესწრო, 13 წარმოადგენდა არსებითი განხილვის სხდომას, ხოლო 2 - წინასასამართლო სხდომას. მონიტორინგი 5-6 ივლისის საქმეებზე ფოკუსირებული და შერჩევითი წესით მიმდინარეობდა. პროექტი მიზნად ისახავს ამ საქმეებსა და, დამატებით, 5-6 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებულ საქმეებზე დაკვირვებას სასამართლო პროცესების დასრულებამდე.

## 3. არსებული კონტექსტი

### 3.1. 2021 წლის 5-6 ივლისის ძალადობრივი დარბევის ქრონოლოგია

2021 წლის 5 ივლისს თბილისში, „თბილისი პრაიდის“ კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი „ღირსების მარშის“ ჩასაშლელად, ჰომოფობიური და სიძულვილის ჯგუფები რუსთაველის გამზირზე გამოვიდნენ. პარლამენტთან „ქართული ოცნების“ მოწინააღმდეგეთა კარვების, ასევე, „სირცხვილიასა“ და „თბილისი პრაიდის“ ოფისების დარბევის პარალელურად, ძალადობის შედეგად დაშავდა 53-მდე ჟურნალისტი და მშვიდობიანი მოქალაქე, ხოლო „ტვ პირველის“ ოპერატორი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებების შემდგომ, 11 ივლისს გარდაიცვალა<sup>2</sup>. „ღირსების მარშის“ საწინააღმდეგო აქციაზე ძალადობრივი და აგრესიული ჯგუფები მედიის წარმომადგენლებს წინასწარი განზრახვით დაესხნენ თავს, მიაყენეს

<sup>2</sup> ოფიციალური ექსპერტის შედეგები მხოლოდ 6 თვის შემდეგ გახდა ცნობილი.

სიტყვიერი შეურაცხყოფა, ფიზიკური დაზიანებები და ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელის შეშლის მიზნით დაუმტვრიეს ტექნიკა. აგრესიული ადამიანები თავს ესხმოდნენ და ფიზიკურად უსწორდებოდნენ ყველას, ვინც რაიმე ნიშნით – მიკროფონით, ბეიჯით, კამერითა თუ ფოტოაპარატით – მედიასთან ასოცირდებოდა.<sup>3</sup>

5 ივლისის ძალადობის გასაპროტესტებლად 6 ივლისს საქართველოს პარლამენტთან გაიმართა მდუმარე აქცია. ძალადობრივი ჯგუფები ისევ მობილიზდნენ ქუჩებში, თავს დაესხნენ რამდენიმე ადამიანს და არაერთგზის სცადეს პოლიციის კორდონის გარღვევა. პოლიციელების მიერ საქართველოს პარლამენტის კორდონის დაშლის შემდეგ ძალადობრივი ჯგუფების წარმომადგენლებმა პარლამენტის წინ ევროკავშირის დროშა ჩამოხსნეს და დროშის მაგივრად ჯვარი აღმართეს.

2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით<sup>4</sup>, 2021 წლის 5-6 ივლისის ორგანიზებულ ძალადობასთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო 6 სისხლის სამართლის საქმეზე. ამ საქმეებიდან ორი საქმე გაუერთიანდა ერთ სისხლის სამართლის საქმეს. ეს სისხლის სამართლის საქმე გაიყო ხუთ სისხლის სამართლის საქმედ, საიდანაც ოთხი სისხლის სამართლის საქმე წარმართა სასამართლოში განსახილველად, ხოლო ერთ საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება. მითითებული საქმეების გამოძიების ფარგლებში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 31 პირის მიმართ. სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს 31 პირის მიმართ. დაზარალებულად ცნობილია 59 ფიზიკური და 1 იურიდიული პირი.

თუმცა 5-6 ივლისის ძალადობრივ მოვლენებთან დაკავშირებით პროკურატურის მიერ წარმოებულ საქმეებსა და სტატისტიკაში არსებულ მონაცემებს ბევრად აჭარბებს როგორც ძალადობის მონაწილეთა, ისე დაზარალებულთა რაოდენობა.<sup>5</sup>

5 ივლისს მომხდარი ძალადობის ფაქტებს მოჰყვა დასავლეთის ქვეყნების საგარეო უწყებების<sup>6</sup>, ელჩების, ევროპარლამენტარებისა და უფლებადამცველი ორგანიზაციების გამოხმაურება. საერთაშორისო უფლებადამცველმა ორგანიზაციებმა<sup>7</sup> ლექსო ლაშქარავაზე თავდასხმისა და

<sup>3</sup> აღსანიშნავია, რომ სასამართლო მონიტორინგისას დაზარალებული ჟურნალისტები უთითებდნენ, რომ მხოლოდ რუსულ ენაზე მოლაპარაკე და ტელეკომპანია „ალტ-ინფოს“ ჟურნალისტებზე არ უძალადიათ.

<sup>4</sup> საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 11 იანვრის წერილი No13/807

<sup>5</sup> რადიო თავისუფლება, 2021 წლის 20 ივლისი, „არცერთი ორგანიზატორი - ვინ დაიჭირა პოლიციამ 5 ივლისს“, ხელისაწვდომია <https://www.radiotavisupleba.ge/a/31368919.html>

<sup>6</sup> 2021 წლის 5 ივლისს გავრცელდა ავსტრიის, ბულგარეთის, ესტონეთის, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის, ფინეთის, საფრანგეთის, გერმანიის, საბერძნეთის, ირლანდიის, ისრაელის, იტალიის, ლატვიის, ლიეტუვის, ნიდერლანდის, ნორვეგიის, ესპანეთის, შვედეთის, გაერთიანებული სამეფოს, გაეროს სისტემის საქართველოში, შეერთებული შტატების საელჩოსა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ერთობლივი განცხადება თბილისში განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით. განცხადებაში მისიების წარმომადგენლება მოუწოდეს საქართველოს ხელისუფლებას, ემოქმედათ დაუყოვნებლივ და საჯაროდ დაეგმოთ ძალადობა. განცხადება ხელმისაწვდომია [https://eeas.europa.eu/delegations/georgia/101804/node/101804\\_en](https://eeas.europa.eu/delegations/georgia/101804/node/101804_en)

<sup>7</sup> Amnesty International-ის გენერალური მდივანი, ხელმისაწვდომია

<https://twitter.com/AgnesCallamard/status/1412079532228632578>, International Press Institute,

მისი გარდაცვალების გამჭვირვალე გამოძიება მოითხოვეს. 2022 წლის დასაწყისში UNESCO-მ „ტვ პირველის“ გარდაცვლილი ოპერატორი 2021 წელს მოკლულ ჟურნალისტთა სიაში შეიყვანა. ორგანიზაციის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში მითითებულია, რომ ლაშქარავამ დაზიანებები 5 ივლისის ძალადობრივი დარბევის დროს მიიღო.<sup>8</sup>

ხაზგასასმელია, რომ 5-6 ივლისის მასობრივ ძალადობამდე, „ღირსების მარშის“ ჩაშლა, სულ მცირე, ერთი თვით ადრე იგეგმებოდა. „თბილისის პრაიდის“ ორგანიზატორების<sup>9</sup> მიერ დაანონსებული „ღირსების მარშის“ საპასუხოდ, ულტრამემარჯვენე ლიდერმა და მოძრაობა „ერის“ დამფუძნებელმა ლევან ვასაძემ პრაიდის კვირეულის „გაუქმების“ მოთხოვნით ხელისუფლებას ულტიმატუმი წაუყენა<sup>10</sup>. ვასაძის განცხადება მკვეთრად ჰომოფობიური იყო. მან „ღირსების მარში“ მოიხსენია გარყვნილების პროპაგანდად და მისი ჩატარების აკრძალვა მოითხოვა. იმავე პერიოდში, პრაიდის კვირეულის გარშემო ჰომოფობიური დისკურსი მედიაპლატფორმა „ალტ-ინფოს“ მხრიდანაც გააქტიურდა. 12 ივნისს, გადაცემა „ალტ-ანალიტიკის“ წამყვანმა ზურა მახარაძემ „ღირსების მარშის“ წინააღმდეგ სამოქალაქო ჯგუფების მობილიზაცია დაანონსა, „ალტ-ინფოს“ ლიდერთა ჰომოფობიური განცხადებები, რომლებიც მიმართული იყო პრაიდის კვირეულის, მისი ორგანიზატორებისა და მხარდაჭერების წინააღმდეგ, აქტიურად გავრცელდა ფეისბუქგუფში „ალტერნატივა საქართველოსთვის - მხარდამჭერები“. ასევე, ფეისბუქგვერდზე „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება“ ვრცელდებოდა სასულიერო პირების ჰომოფობიური ვიდეოგზავნილები, სადაც ხელისუფლებას მოუწოდებდნენ, არ დაეშვათ „ლგბტ სახით“ მოდერნიზებული სოციალისტური ცოდვის პროპაგანდა.<sup>11</sup> ჰომოფობიური შინაარსის გზავნილები თვალსაჩინო იყო ალექსანდრე ფალავანდიშვილის 24 ივნისს „ტვ პირველისთვის“ მიცემულ ინტერვიუში<sup>12</sup>, სადაც მან ლგბტ აქტივიზმში „პედოფილის და გარყვნილების პროპაგანდად“ მოიხსენია და ხაზი გაუსვა, რომ „ღირსების მარშის“ ჩატარების შემთხვევაში, მოხდებოდა დაპირისპირება და „პოლიციას სპეცრაზმის გამოყვანა და ხალხის დასახიჩრება“ დასჭირდებოდა. ჰომოფობიური და ძალადობრივი მოწოდებები შესამჩნევი იყო ფეისბუქგუფში „ლევან ვასაძის მხარდამჭერები“,<sup>13</sup> სადაც ვრცელდებოდა პოსტები რელიგიური ნარატივებით. პრაიდის კვირეულის ჩატარება გაიგივებული იყო მართლმადიდებლობის დაკნინებასთან და ამიტომ „ამ ლაქის ასაცილებლად“ პრაიდის ჩაშლა, თუნდაც ძალისმიერი მეთოდებით, გამართლებული იყო.<sup>14</sup>

ხელმისაწვდომია <https://twitter.com/IFJGlobal/status/1412048258759892994>, Reporters Without Borders, ხელმისაწვდომია <https://rsf.org/en/news/georgia-suspicious-death-journalist-attacked-six-days-earlier-homophobic-lynch-mob>, Committee to protect journalists, ხელმისაწვდომია <https://twitter.com/globalfreemedia/status/1412082407990255618?s=20>

<sup>8</sup> ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3n7Zbqg>

<sup>9</sup> „პუბლიკა“, 2021 წლის 4 ივნისი, „5 ივლისს „ღირსების მარში“ გაიმართება - Tbilisi Pride.“ ხელმისაწვდომია <https://publika.ge/5-ivliss-ghirsebis-marshi-gaimarteba-tbilisi-pride/>

<sup>10</sup> „ტვ პირველი“, 2021 წლის 4 ივნისი, „ვამლევთ ვადას, გააუქმონ „პრაიდი“ - ვასაძის ულტიმატუმი ხელისუფლებას“, ხელმისაწვდომია - <https://bit.ly/3JVMtVg>

<sup>11</sup> აღსანიშნავია, რომ ეს წყაროები FB პლატფორმაზე აღარ იძებნება.

<sup>12</sup> „ტვ პირველი“, 2021 წლის 24 ივნისი, „რადიკალური ჯგუფები ლგბტ პრაიდის ჩასაშლელ გეგმას ადგენენ“, ხელმისაწვდომია <https://www.facebook.com/watch/?v=1450478415297070>

<sup>13</sup> ხელმისაწვდომია <https://www.facebook.com/groups/942999595733298>

<sup>14</sup> DRI, 2020 წლის 26 ივნისი, ხელმისაწვდომია <http://www.democracyresearch.org/geo/650>



ცალსახაა, რომ ძალადობრივი ჯგუფების შეკრება დიდი ხნით ადრე იყო ორგანიზებული და მას არ ჰქონდა სპონტანური ხასიათი. გავრცელებული კადრებიდან და სასამართლო მონიტორინგისას ოთხივე საქმეზე დაკითხული მოწმეების ჩვენებებით დასტურდება, რომ პოლიციის მცირე რაოდენობა და უმოქმედობა აშკარა იყო; ხოლო შსს-ს მიერ მობილიზებული უკიდურესად მცირერიცხოვანი საპოლიციო ეკიპაჟები - არასაკმარისი ძალადობის შესაკავებლად, მათ შორის, ძალადობის უშუალო და მარტივად იდენტიფიცირებადი მონაწილეების დაკავების ნაწილში.

### 3.2. ქართული ოცნების პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ ძალადობრივი ქმედებების წახალისება

5 ივლისს ძალადობრივ ქმედებებს წინ უძღოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება, რომ „ღირსების მარშის“ ჩატარება მიზანშეუწონელი იყო. მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა „ღირსების მარშის“ ორგანიზატორებს მოუწოდა, არ გაემართათ მსვლელობა რუსთაველის გამზირზე.<sup>15</sup> აღსანიშნავია, რომ სასამართლო მონიტორინგისას სავარაუდო მოძალადეების დაცვის მხარის არგუმენტაციაც სწორედ ღარიბაშვილის განცხადებას ემყარებოდა, რომ „სახელმწიფოს პოზიცია და ნება განცხადებული ჰქონდა“ და, შესაბამისად, „ღირსების მარშის“ კონტრაქციაში მონაწილეობა გამართლებული იყო.

პრემიერ-მინისტრის განცხადება, რომ „ღირსების მარშის“ უკან მიხეილ სააკაშვილი და რადიკალური ოპოზიცია იდგა, პირდაპირ წარმოადგენდა რადიკალური ჯგუფებისთვის ჟურნალისტებისა და ღირსების მარშის მონაწილეების წინააღმდეგ ძალის გამოყენების წახალისებას.<sup>16</sup>

„ღირსების მარშთან“ დაკავშირებულ მოვლენებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ხელისუფლებამ არათუ უარი უთხრა „თბილისი პრაიდს“ კონსტიტუციით გარანტირებული შეკრების თავისუფლებით სარგებლობაზე, არამედ დანაშაულებრივი უმოქმედობით და მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების განცხადებებით პირდაპირ წახალისა რადიკალური ჯგუფები, გამოეყენებინათ ძალადობა ჟურნალისტების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ლგბტ თემის, მოქალაქეების წინააღმდეგ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური ხელისუფლების ხაზგასმით ლოიალური დამოკიდებულება სტრუქტურული ერთობის მქონე სიძულვილის ჯგუფების მიმართ, რაც წლების მანძილზე გამოიხატებოდა მათ მიერ ჩადენილი ძალადობის არაერთი ფაქტის რეაგირების გარეშე დატოვებაში, კიდევ ერთხელ დადასტურდა 5 ივლისს, როდესაც ხელისუფლებამ დემონსტრაციულად თქვა უარი, გამოეყენებინა კანონით ნებადართული საპოლიციო ღონისძიებები ორგანიზებული ძალადობის აღსაკვეთად.

<sup>15</sup> ხელმისაწვდომია <https://www.facebook.com/watch/?v=560870338408406>

<sup>16</sup> DRI, 2020 წლის 5 ივლისი, ხელმისაწვდომია <http://www.democracyresearch.org/geo/663>

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს საპატრიარქოს მოწოდების საფუძველზე, ძალადობრივ ჯგუფების მობილიზება დაუფარავად და რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, შსს-ს მიერ უკიდურესად მცირერიცხოვანი საპოლიციო ძალების მობილიზებამ აჩვენა, რომ „ქართული ოცნების“ პოლიტიკური ხელისუფლების განზრახვას არ წარმოადგენდა ძალადობის აღკვეთა. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ მაშინაც კი, როდესაც დღის განმავლობაში ძალადობის მასშტაბი იზრდებოდა - ძალადობრივი ჯგუფები არბევდნენ ოფისებს, პირდაპირ ეთერში ფიზიკურად უსწორდებოდნენ ჟურნალისტებს, თავს ესხმოდნენ ქუჩაში გამვლელებს - ხელისუფლებას არ გამოუყვანია დამატებითი საპოლიციო ძალები ძალადობრივი შეკრების დასაშლელად და ძალადობის აღსაკვეთად. პოლიციის უმოქმედობა ძალადობის უშუალო ფაქტებზე ნათლად მიუთითებს როგორც არასაკმარისი საპოლიციო ძალის მობილიზაციაზე, ასევე, სათანადო პოლიტიკური ნების არარსებობაზე, დაეკავებინათ ძალადობის უშუალო მონაწილეები, რომელთა იდენტიფიცირებაც მარტივად შეიძლებოდა.<sup>17</sup>

### 3.3. მასობრივი ძალადობის ხელშეუხებელი ორგანიზატორები

5 ივლისის წინასწარ ორგანიზებული ჯგუფური ძალადობიდან ექვს თვეზე მეტი გავიდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ დამდგარა ძალადობრივი დარბევის ორგანიზატორების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, რაც მიმდინარე გამოძიების არაეფექტიანობასა და არაობიექტურობაზე მიუთითებს. ორგანიზატორთა ქმედებებზე შსს-ს რეაგირება ფასადურია და არ არის მათი პიროვნების, მოწოდებების, მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ნიშნების შემცველი აქტების პროპორციული.<sup>18</sup>

ოთხივე საქმეზე 5 ივლისის დარბევასთან დაკავშირებით გამოძიება 225-ე მუხლის მეორე ნაწილითაც (ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა) მიმდინარეობს. ამ მუხლით საქმის გამოძიება მიუთითებს, რომ 5 ივლისის ძალადობრივი მოვლენები წინასწარ იყო ორგანიზებული კონკრეტულ პირთა მიერ და არ ატარებდა სპონტანურ ხასიათს. ძალადობრივი დაჯგუფების წევრების მიერ 5 ივლისის სისხლიან დარბევამდე გამოქვეყნებული საჯარო მოწოდებები ადასტურებს, რომ დარბევამდე გაცილებით ადრე მიმდინარეობდა მიზანმიმართული მუშაობა ძალადობრივი ჯგუფების მობილიზაციისთვის, რომლის შესახებაც წინასწარ უნდა ყოფილიყო ცნობილი შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის.

2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით წინასწარ ორგანიზებული სიძულვილით მოტივირებული ჯგუფური ძალადობის არცერთი ორგანიზატორი არ არის დაკავებული. ამ მასშტაბის ძალადობრივი დანაშაულის ორგანიზატორების დაუსჯელობა აძლევს მათ ახალი დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის შესაძლებლობას და სახელმწიფოსა და საზოგადოების უსაფრთხოებისათვის კრიტიკული რისკების შემცველია.

<sup>17</sup> DRI, 2021 წლის 6 ივლისი, ხელმისაწვდომია <http://www.democracyresearch.org/geo/664>

<sup>18</sup> DRI, 2021 წლის 11 აგვისტო, ხელმისაწვდომია <http://www.democracyresearch.org/geo/704>



სასამართლო სხდომებზე ორგანიზატორების რანგში რამდენჯერმე გაიჟღერა ზურაბ მახარაძის და კონსტანტინე (კოკა) მორგოშის სახელებმა.

10 დეკემბრის სასამართლო სხდომა დაზარალებულმა ჟურნალისტმა, მ.ჯ.-მ განაცხადა: „*ზურა მახარაძის მოწოდების შემდეგ შეიცვალეს ჯგუფებმა დანიშნულების ადგილი და გადაინაცვლეს საქართველოს პარლამენტის წინ*“.

29 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე დაზარალებული ჟურნალისტის, გ.მ.-ს განცხადებით, კოკა მორგოშიამ მითხრა, აქ აღარ იქნება არაფერი საინტერესო, ახლა ნახე, პარლამენტთან რა მოხდებაო.

16 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე, დაცვის მხარემ განაცხადა: „*კოკა მორგოშია განყოფილებაში 3-ჯერ იყო დაბარებული და ჯერ არ დაუკავებიათ*“.

კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ სასწრაფოდ მოხდეს ორგანიზებული ჯგუფური ძალადობის შემთხვევების მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში გამოძიება და ჯგუფური ძალადობის ორგანიზატორების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამყარდება მოსაზრება, რომ მმართველი პოლიტიკური ელიტა თანამშრომლობს და ხელს აფარებს 5 ივლისის დარბევაზე პასუხისმგებელი ძალადობრივი ჯგუფების ლიდერებს, გურამ ფალავანდიშვილს, „ალტ-ინფოს“ გუნდს, ლევან ვასაძეს და 5 ივლისის ძალადობასთან დაკავშირებულ ორგანიზატორებს, მათ შორის, სასულიერო პირებს.

### 3.4. ექსპერტიზა ლექსო ლაშქარავას გარდაცვალების/ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მიძიმე დაზიანებაზე

„ტვ პირველის“ ოპერატორი ლექსო ლაშქარავა 11 ივლისს გარდაიცვალა. ის 5 ივლისს, „სირცხვილიას“ ოფისთან პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს სიძულვილის ჯგუფების მხრიდან მიძიმე ფიზიკური დაზიანებების მსხვერპლი გახდა. ლექსო ლაშქარავას თავდასხმის შემდეგ ჩამსხვრეული ჰქონდა სახის ძვლები, რის გამოც ქირურგიული ოპერაცია დასჭირდა.<sup>19</sup>

თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე 5 ივლისს ლექსო ლაშქარავას და მირანდა ბალათურის მიმართ ძალადობის საქმის განხილვაში ბრალდებულია 6 პირი. ლექსო ლაშქარავას 11 ივლისის გარდაცვალების ფაქტზე ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველომ გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე, თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით დაიწყო. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის ხელთ არსებული ინფორმაციით გამოძიება ამ დრომდე ამავე მუხლით გრძელდება.

21 ოქტომბრის წინასასამართლო სხდომამდე 3 დღით ადრე, ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, ლექსო ლაშქარავას მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე

<sup>19</sup> რადიო თავისუფლება, 12 ივლისი, 2021, „შსს ლექსო ლაშქარავაზე: შესაძლოა, გარდაიცვალა ზედოზირებით, სისხლში აღმოაჩნდა ნარკოტიკული ნივთიერებები“.

ბრალდებულებს ბრალი დაუმძიმდათ 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება). თუმცა ეს სამედიცინო დასკვნა 5 ივლისის მოვლენების შედეგად მიღებულ დაზიანებებს შეეხებოდა.

საყურადღებოა, რომ ლექსო ლაშქარავასთვის 5 ივლისს მიყენებულ მძიმე დაზიანებებსა და მის გარდაცვალებას შორის კავშირის დადგენას დაახლოებით 6 თვე დასჭირდა. საგამოძიებო ორგანოებს ამ ხნის განმავლობაში არ ჰქონდათ ექსპერტიზის დასკვნა, რამაც გააძლიერა ეჭვები არაობიექტურად მიმდინარე გამოძიების თაობაზე. საზოგადოებისთვის დასკვნის ნაწილი მხოლოდ UNESCO-ს მიერ მოკლული ჟურნალისტების სიაში ლექსო ლაშქარავას შეყვანის შემდეგ გახდა ცნობილი. ოფიციალური ექსპერტიზის დასკვნამ გარდაცვალება ჰეროინით ინტოქსიკაციას დაუკავშირა.

იმ პირობებში, როდესაც შსს თანამშრომლებმა ცხედარი ოჯახის თანხმობის გარეშე, სპეცოპერაციული მეთოდის გამოყენებით გადაიყვანეს ექსპერტიზის ბიუროში, გარდაცვალებიდან რამდენიმე საათში კი შსს-მ ლაშქარავას გადაადგილების ვიდეოკადრები (რომელიც მისი ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას დაადასტურებდა) გაავრცელა,<sup>20</sup> საქმის გამოძიების მიმართ უნდობლობა გაჩნდა. ამ მოცემულობას დაემატა ექვსთვიანი ლოდინის შემდეგ, 2021 წლის 30 დეკემბერს მიღებული და ერთი კვირის (UNESCO-ს სიის გამოქვეყნების) შემდეგ, 7 იანვარს გასაჯაროებული დასკვნა.

## 4. სასამართლო სხდომების მონიტორინგი

### 4.1. სასამართლო სხდომებზე დასწრების უფლება

2021 წლის 5 ივლისის მასობრივი ძალადობის საქმეებზე მონიტორინგის პროცესში ორგანიზაცია საქმის განმხილველ მოსამართლეს წერილობით მიმართავდა სხდომებზე დასწრების უზრუნველსაყოფად. როგორც დაკვირვების პროცესში გამოიკვეთა, სასამართლოს წარმომადგენლები<sup>21</sup> სხდომის დასწრებამდე ადგენდნენ სხდომაზე დამსწრე პირების ვინაობას.

სასამართლო სხდომებზე დასწრება შეუძლებელი იყო სხდომის დაწყებამდე სასამართლოს წინასწარი ინფორმირების გარეშე. ეს წესი ვრცელდებოდა ოჯახის წევრებზეც<sup>22</sup>, თუმცა სხდომაზე საზოგადოებრივი ორგანიზაციების დამკვირვებლების დასწრების შემთხვევაში,

---

<sup>20</sup> რადიო თავისუფლება, 2021 წლის 12 ივლისი, „შსს ლექსო ლაშქარავაზე: შესაძლოა, გარდაიცვალა ზედოზირებით, სისხლში აღმოაჩნდა ნარკოტიკული ნივთიერებები“, <https://www.radiotavisupleba.ge/a/31354969.html>

<sup>21</sup> როგორც მანდატურები, ასევე სხდომის მდივნები და ცალკეულ შემთხვევებში, მოსამართლეებიც.

<sup>22</sup> სასამართლო სხდომაზე თითო ბრალდებულის ოჯახის მხოლოდ ერთი წევრის დასწრება იყო შესაძლებელი. 2021 წლის დეკემბერს მოსამართლე ვალერიან ბუგიანიშვილმა კორონის ახალი შტამის, ომიკრონის, გავრცელების პრევენციის მიზნით ოჯახის წევრებსაც მოუწოდა, სასამართლო სხდომებს არ დასწრებოდნენ.

დამატებით არსებობდა დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის პრაქტიკაც. რამდენიმე შემთხვევაში მოსამართლემ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის მხოლოდ რამდენიმეს, ან ერთი და იმავე არასამთავრობო ორგანიზაციიდან მხოლოდ ერთს მისცა სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლება.

მონიტორინგის დაწყებამდე, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს მიმართა კითხვით, იყო თუ არა სასამართლო სხდომები საჯარო და არსებობდა თუ არა რაიმე ტიპის შეზღუდვა სასამართლო პროცესებზე მონიტორების დასწრების თვალსაზრისით. სასამართლომ პასუხად 2020 წლის 1-ელი დეკემბრის რეკომენდაციაზე მიგვითითა.<sup>23</sup>

საქართველოს საერთო სასამართლოები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 1-ელი დეკემბრის რეკომენდაციით ხელმძღვანელობენ<sup>24</sup>. რეკომენდაციის მიხედვით, მოქალაქეებმა თავი უნდა შეიკავონ სასამართლო პროცესებზე დასწრებისგან, გარდა განსაკუთრებული და გადაუდებელი აუცილებლობისა, რა დროსაც მოქალაქე დარბაზში უნდა გამოცხადდეს თანმხლები პირის გარეშე, მისთვის განსაზღვრულ ზუსტ დროს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეკომენდაცია სასამართლო სხდომების საჯაროობის პრინციპს ეწინააღმდეგება. გასათვალისწინებელია, რომ დახურული ტიპის საჯარო სივრცეებში არ არსებობს პირთა რაოდენობრივი შეზღუდვის ასეთი მკაცრი რეგულაცია. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეკომენდაციაზე დაყრდნობით, მოსამართლეები სხდომების საჯაროობისთვის ხელოვნურ ბარიერებს ქმნიან, რაც ამცირებს სასამართლოს ანგარიშვალდებულებას საზოგადოების მიმართ. გასათვალისწინებელია, რომ სასამართლო ისედაც იყენებს 2-მეტრიანი დისტანციის დაცვის და პირბადის სავალდებულოდ ტარების პრაქტიკას. შესაბამისად, სხდომაზე ფიზიკურად დამსწრე პირთა რაოდენობის შეზღუდვა და დამსწრეთა შერჩევა არათანაზომიერ საშუალებად უნდა ჩაითვალოს.

მონიტორინგის მიზნით სასამართლო სხდომებს ესწრებოდნენ მასმედიის წარმომადგენლებიც. 3 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე სასამართლო პროცესზე გამოცხადდა მედიის - „პუბლიკის“, „ალტ-ინფოს“ და „ტვ პირველის“ - სამი წარმომადგენელი. მოსამართლე ნინო ელიეშვილის გადაწყვეტილებით, „პუბლიკის“ წარმომადგენელს დარბაზი დაატოვებინეს. „პუბლიკა“ არ წარმოადგენდა საეთერო სამაუწყებლო მედიას<sup>25</sup> და, შესაბამისად, მას სასამართლო სხდომათა დარბაზში დარჩენის უფლება ჰქონდა. სამაუწყებლო მედიის შემთხვევაში კლასიკურად, წილისყრის გზით ხდებოდა მედიის შერჩევა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სხდომა არ მიმდინარეობდა მცირე მოცულობის დარბაზში და არც დამსწრეთა რაოდენობა აღემატებოდა 7 ადამიანს. შესაბამისად, ჟურნალისტის სხდომის დარბაზიდან გაშვება არ წარმოადგენდა ლეგიტიმურ მიზანსა და შეზღუდვას შორის თანაზომიერ საშუალებას.

<sup>23</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 20 ოქტომბრის წერილი N5122528

<sup>24</sup> იხ. კოვიდპანდემიის პირობებში საბჭოს მიერ მიღებული რეკომენდაციების ქრონოლოგია, დანართი N1.

<sup>25</sup> „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 13 (პრიმა) მუხლის მე-2 ნაწილი

## 4.2. 2021 წლის 5 ივლისის საქმეები

5 ივლისს განხორციელებულ ძალადობათა საქმეზე პირველი წინასასამართლო სხდომა 21 ოქტომბერს ჩატარდა. მოსამართლეებმა ოთხივე საქმეზე ბრალდებულების აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა დატოვეს. 2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ოთხივე საქმეზე მიმდინარეობს მტკიცებულებების გამოკვლევის ეტაპი, კერძოდ, მოწმეების, დაზარალებულებისა და ექსპერტების დაკითხვის პროცესი. ოთხივე საქმეში სასამართლოს ბრალდებულების მიმართ გამოყენებული აქვს აღკვეთის ღონისძიება პატიმრობის სახით.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ოთხი საქმის გარდა, თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარეობს „თბილისი პრაიდის“ ოფისში შეჭრის საქმე. 2021 წლის 22 დეკემბერს 5 ივლისის „თბილისი პრაიდის“ ოფისში შეჭრაში ბრალდებული 3 პირი საქალაქო სასამართლომ გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. მოსამართლე დავით მგელიაშვილის გადაწყვეტილებით, დაკავებულებს - გ.ო.-ს, გ.ე.-სა და ა.ა.-ს აღმკვეთი ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა 5 000-ლარიანი გირაოთი შეეცვალათ. დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის ხელთ არსებული ინფორმაციით, სასამართლომ მოსალოდნელი საფრთხეების შეფასების ნაწილში ბრალდებულების პატიმრობაში ყოფნა არ ჩათვალა მიზანშეწონილად.<sup>26</sup>

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე ნინო ჩახნაშვილი განიხილავს საქმეს, რომელზეც ბრალდებულები არიან ზ.მ, უ.დ, გ.კ., გ.ნ., ი.ქ., რ.კ. და თ.ხ. მათ ბრალდების სახით წარდგენილი აქვთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლი (ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობა) ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა იარაღის გამოყენებით; 156-ე მუხლის (დევნა) მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი - დევნა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, რომელსაც ახლავს ძალადობა; 154-ე მუხლი (ჟურნალისტიკისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა).

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე ნინო ელიეშვილი განიხილავს საქმეს, რომელზეც ბრალდებულები არიან დ.კ., თ.დ., ა.ნ., ო.გ., გ.გ. და ც.ჩ. მათ ბრალდების სახით წარდგენილი აქვთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლი (ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობა) ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა იარაღის გამოყენებით; 156-ე მუხლის (დევნა) მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი - დევნა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, რომელსაც ახლავს ძალადობა, 154-ე მუხლი (ჟურნალისტიკისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა), 118-ე მუხლის მესამე ნაწილი (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება) დამამძიმებელი გარემოებებით - სამსახურებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული და ჯგუფურად, 117-ე მუხლის (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება

<sup>26</sup> DRI-ს მონიტორინგი ამ საქმეს არ ფარავდა, თუმცა შემდგომ ანგარიშში სასამართლო მონიტორინგის ფარგლებში ასახული იქნება.

მხოლოდ ერთი ბრალდებულის მიმართ)) მეოთხე ნაწილის დამამძიმებელი გარემოება - ჯგუფურად.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე კონსტანტინე კოპალიანი განიხილავს საქმეს, რომელზეც ბრალდებულები არიან გ.წ., გ.მ., თ.ბ., გ.გ., ზ.ჭ., დ.ქ. მათ ბრალდების სახით წარდგენილი აქვთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლი (ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობა) ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა იარაღის გამოყენებით; 156-ე მუხლის (დევნა) მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი - დევნა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, რომელსაც ახლავს ძალადობა; 154-ე მუხლი (ჟურნალისტიკისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა).

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე ვალერიან ბუგანიშვილი განიხილავს საქმეს, რომელზეც ბრალდებულები არიან დ.ქ. (ბრალდების სახით არ აქვს წარდგენილი სსსკ-ის 154-ე მუხლი), თ.გ., ბ.მ., მ.დ., ნ.გ., ი.ბ. და ბ.მ. მათ ბრალდების სახით წარდგენილი აქვთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლი (ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობა) ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა იარაღის გამოყენებით; 156-ე მუხლის (დევნა) მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი - დევნა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, რომელსაც ახლავს ძალადობა; 154-ე მუხლი (ჟურნალისტიკისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა).

#### 4.2.1. ქსენოფობიური განწყობები სასამართლო სხდომებზე

5-6 ივლისის საქმეებზე განსაკუთრებულად შეიმჩნეოდა ადვოკატების რელიგიური სენტიმენტებით გაჯერებული რიტორიკა, ქსენოფობიური და ჰომოფობიური განწყობები,<sup>27</sup> ასევე, თანასწორობის უფლებასთან დაკავშირებით კვალიფიკაციის არასათანადო დონე.

2022 წლის 16 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე ექსპერტის დაკითხვისას და მის მიერ ფიცის წარმოთქმის შემდეგ, ადვოკატის მხრიდან გაიჟღერა ქსენოფობიურმა კომენტარმა: „იაღოველური ფიცია“. ამ შემთხვევაში, მოსამართლე ვალერიან ბუგანიშვილის რეაგირება ირონიული კომენტარით შემოიფარგლა: „როგორი „სწორი“ რეპლიკა!“.

თითქმის ყველა დანარჩენ შემთხვევაში, სასამართლო სხდომების მიმდინარეობისას არც მოსამართლეს და არც ბრალდების მხარეს არ მიუთითებიათ ადვოკატებისთვის სიძულვილის ენის გამოყენებისგან თავის შეკავებასთან დაკავშირებით:

*„ამ პატარა ჯგუფს უნდა, მოასხდნენ თავს უმრავლესობას“ (2021 წლის 26 ნოემბრის სხდომა, მომხსენებელი მოსამართლე ნინო ჩახნაშვილი);*

<sup>27</sup> განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ადვოკატები - ირაკლი ზაქარეიშვილი, ნიკოლოზ მჭავანაძე, შორენა კობიძე.



*„50 ადამიანმა უნდა იძალადოს 4 მილიონ ადამიანზე“ (2021 წლის 26 ნოემბრის სხდომა, მომხსენებელი მოსამართლე ნინო ჩახნაშვილი);*

*„როცა ღირსებას და ჯანმრთელობას ექმნება საფრთხე, უნდა იძალადო“ (2021 წლის 26 ნოემბრის სხდომა, მომხსენებელი მოსამართლე ნინო ჩახნაშვილი);*

*„მამათმავლები“ (2021 წლის 15 დეკემბრის სხდომა, მომხსენებელი მოსამართლე კონსტანტინე კოპალიანი).*

ადვოკატები დაცვის პროცესში ასევე აქტიურად მიმართავენ ანტიდასავლურ და ანტიამერიკულ პროპაგანდას. სასამართლო განხილვის დროს ერთ-ერთმა ადვოკატმა შუამდგომლობაც კი დააყენა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წარმომადგენელს სასამართლო სხდომათა დარბაზი დაეტოვებინა. ადვოკატი დარბაზში დამსწრე საზოგადოებას (დამკვირვებლებს) „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებად მოიხსენიებდა.

*„[აშშ] ელჩმა აკონტროლოს თავის თავი განცხადებებშიც და პატივი სცეს ქართულ მოსახლეობას“;*

*„ესენი აქ თქვენზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით არიან“.*

როგორც წესი, მოსამართლეები ყველაზე ხშირად იმ შემთხვევაში რეაგირებდნენ, როდესაც დაცვის მხარე საქმეებს პოლიტიკური ნიშნით მოტივირებულად წარმოადგენდა და უთითებდნენ, რომ რიტორიკა არ ეხებოდა მიმდინარე საქმის გარემოებებს.

#### 4.2.2. მოწმეების და დაზარალებულების დაკითხვა

2021 წლის 3 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე, რომლის მომხსენებელი იყო მოსამართლე ნინო ჩახნაშვილი, დაზარალებულად ცნობილი ჟურნალისტის, დ.მ.-ს დაკითხვისას, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ადვოკატი შორენა კობიძე დაზარალებულთან დაძაბული კომუნიკაციით. ადვოკატი დაზარალებულს საშუალებას არ აძლევდა, რომ მას კითხვებზე პასუხები გაეცა, ასევე შემაშფოთებელი იყო მისი კითხვა „თქვენ ლესბოსელი ან ლგბტ ხომ არ ხართ?“. ეს კითხვა ბრალდების მხარემ გააპროტესტა, რის შემდეგაც კითხვა განარიდეს. თუმცა დანარჩენ შემთხვევებში ბრალდების მხარე არ გამოირჩეოდა ჰომოფობიური რიტორიკის შემცველ კითხვებზე რეაგირებით.

სასამართლო დაკითხვის დროს, ცალკეულ შემთხვევებში, ადვოკატები მოწმეს კონკრეტული ფაქტის დადასტურების ნაცვლად, შეფასების გაკეთებას სთხოვდნენ.

2021 წლის 10 დეკემბრის სასამართლო სხდომაზე, რომლის მომხსენებელიც იყო მოსამართლე კონსტანტინე კოპალიანი, დაზარალებული ჟურნალისტის, მ.ჯ.-ს დაკითხვისას დაცვის მხარემ დაზარალებულს რამდენჯერმე სთხოვა, განემარტა ტერმინი „პუტინისტი“. „თუ მიიჩნევთ მოძალადე პარტიად გიგა ბოკერიას და თამარ ჩერგოლეიშვილს, ისინი იყვნენ მოძალადე პარტიის ხელმძღვანელები და ახლა თქვენი ხელმძღვანელები არიან.“ (კითხვა განარიდეს).



ასევე, შეიმჩნეოდა ერთი და იმავე შინაარსის კითხვის რამდენჯერმე დასმის შემთხვევები, რაზეც ბრალდების მხარე არ ამახვილებდა ყურადღებას.

„ტვ პირველის“ ჟურნალისტ გ.მ.-ს დაკითხვისას დაზარალებულმა ახსენა, რომ ის თავის მობილურ ტელეფონში ინახავდა ნაცემი ოპერატორის ადამიანის კბილებით დაკბენილი სხეულის ამსახველ ფოტოსურათს. აღმოჩნდა, რომ გამოძიებას ეს მტკიცებულება საქმის მასალებზე დართული არ ჰქონდა. გამომდინარე იქიდან, რომ საქმის არსებითი განხილვა მიმდინარეობდა, მოსამართლემ სხდომის დარბაზში ბრალდების მხარეს დაზარალებულის ფოტოსურათის გამოქვეყნების და საქმეზე მტკიცებულებად დართვის შესაძლებლობა არ მისცა.

აღსანიშნავია, რომ დაკითხვისას ბრალდებულის მიერ ჟურნალისტ დ.მ.-ს მიმართ მუქარანარევი ტონით დასმული შეკითხვა კომენტარი „სად ცხოვრობ?“, სასამართლოსა და ბრალდების მხარის ყურადღების მიღმა დარჩა.

### 4.2.3. წესრიგი სასამართლო სხდომათა დარბაზში

მიმდინარე საქმეებზე პროცესის მონაწილის მიერ სხვის მიმართ გამოხატულ უპატივცემულობაზე მოსამართლეს ხშირ შემთხვევაში არ ჰქონია სათანადო რეაგირება (შენიშვნა, გაფრთხილება წესრიგის დაცვის შესახებ და ა.შ). კერძოდ, დაზარალებულებისა და მოწმეების დაკითხვის პროცესში, ბრალდებულებისა და ადვოკატების მხრიდან ცალკეულ შემთხვევებში შეინიშნებოდა დამცინავი ქცევა და კომენტარები, რაზეც ბრალდების მხარეს და მოსამართლეს სათანადო რეაგირება არ ჰქონდათ.

სხდომების მიმდინარეობისას, განსაკუთრებით მტკიცებულებების გამოკვლევის ეტაპზე, პროცესები ხმაურთანადა მიმდინარეობდა. მაგალითად, მოსამართლე ნ. ჩახნაშვილს თითქმის ყველა შემთხვევაში უჭირდა დარბაზში წესრიგის შენარჩუნება.

## შეჯამება

5 ივლისის საქმეებზე მოსამართლეები სასამართლო სხდომებზე რელევანტური ყურადღებით უნდა გამოირჩეოდნენ; უნდა არსებობდეს საჯაროობისა და სხდომებზე ყველა დაინტერესებული პირისათვის დასწრების გონივრული შესაძლებლობა; ასევე, აუცილებელია, რომ პროცესის მონაწილის მხრიდან სიმულვილის ენის გამოყენებისას, სასამართლოსა და ბრალდების მხარეს ჰქონდეს შესაბამისი რეაგირება; მოსამართლეებისა და ბრალდების მხარემ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, რათა დაზარალებულების, ექსპერტებისა და მოწმეების დაკითხვისას სხდომათა დარბაზში არ შეიქმნას დამაშინებელი და დამაბული გარემო; ასევე, პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ 5 ივლისის საქმეების სასამართლო სხდომები გაიმართოს საქმის გაჭიანურების გარეშე, სწრაფი მართლმსაჯულების პირობებში.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი განაგრძობს 5 ივლისის ძალადობრივი პროცესების შედეგებზე დაკვირვებას.

დანართი N1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
რეკომენდაციების ქრონოლოგია

1.	2020 წლის 13 მარტის <a href="#">რეკომენდაცია</a>	საერთო სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ სხდომაზე დამსწრე პირთა, მათ შორის მასმედიის წარმომადგენელთა, რაოდენობის შეზღუდვა.  მოქალაქეებმა თავი უნდა შეიკავონ სასამართლო სხდომებზე დასწრებისგან, გარდა განსაკუთრებული და გადაუდებელი აუცილებლობისა, რა დროსაც მოქალაქე სასამართლოში უნდა გამოცხადდეს თანმხლები პირების გარეშე, მისთვის განსაზღვრულ დროს.
2.	2020 წლის 5 ივნისის <a href="#">რეკომენდაცია</a>	შეიზღუდოს სხდომაზე დამსწრე პირთა, მათ შორის მასმედიის წარმომადგენელთა, რაოდენობა 2-მეტრიანი დისტანციის გათვალისწინებით. 5 ივნისის რეკომენდაციით გაუქმდა 2020 წლის 13 მარტის რეკომენდაცია.
3.	2020 წლის 15 სექტემბრის <a href="#">რეკომენდაცია</a>	სხდომაზე დასწრების შესახებ ჩანაწერი არ შეცვლილა.
4.	2020 წლის 1 დეკემბრის <a href="#">რეკომენდაცია</a>	ჩანაწერი 2-მეტრიან დისტანციაზე ისევ დარჩა, თუმცა დაემატა, რომ მოქალაქეებმა თავი უნდა შეიკავონ სასამართლო პროცესებზე დასწრებისგან, გარდა განსაკუთრებული და გადაუდებელი აუცილებლობისა, რა დროსაც მოქალაქე დარბაზში უნდა გამოცხადდეს თანმხლები პირის გარეშე, მისთვის განსაზღვრულ ზუსტ დროს.
5.	2021 წლის 5 ოქტომბრის <a href="#">რეკომენდაცია</a>	სხდომაზე დასწრების შესახებ ჩანაწერი არ შეცვლილა.